

კომენტარები მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირებაზე

შესავალი

კორპორაციული, იგივე მოგების გადასახადი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფისკალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მართალია, ამ პირდაპირი გადასახადის წილი შედარებით ნაკლებია ამა თუ იმ ქვეყნის ბიუჯეტში აკუმულირებული საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობაში გადასახადების სხვა სახეობების ამოღებით მიღებულ შემოსავლებთან შედარებით, მაგრამ იგი გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყანაში, თუ არ ჩავთვლით უკიდურესად პატარა ზომის, ევრეთ წოდებულ ოფშორულ ზონებს მიკუთვნებულ ქვეყნებსა და სხვა ცალკეულ გამონაკლისებს. წარმოდგენილ მასალაში მოკლედაა მიმოხილული მოგების გადასახადის არსი, მისი მოქმედების პრინციპები და ზემოქმედება ეკონომიკური საქმიანობის ინტენსივობაზე. აგრეთვე, მოყვანილია მოგების გადასახადის კავშირი ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პარამეტრებთან. მასალის დასკვნით ნაწილში მოკლედაა განხილული საქართველოში მოგების გადასახადის შემცირების პოტენციური შედეგები.

მოგების გადასახადის მოქმედების ზოგადი პრინციპები

მოგების გადასახადით იბეგრება ფირმების მიერ მიღებული შემოსავლებისა და საწარმოო ფაქტორების (ამორტიზაცია, მუშახელის ანაზღაურება) და მოზიდული სახსრების (მაგალითად, საბანკო კრედიტის სარგებელი) კომპენსაციაზე გაღებული რესურსების სხვაობა. შესაძლოა შელავათები იქნას გათვალისწინებული საოპერაციო მოგების ნაწილის რეინვესტირების შემთხვევაში. მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგება, რომელსაც ფირმის მფლობელები დივიდენდისა თუ შემოსავლების სახით ინაწილებენ, როგორც წესი, შელავათებს არ ექვემდებარება.

მოგების გადასახადის საჭიროების დასაბუთება

მოგების, ანუ კორპორაციული გადასახადის არსებობას რამდენიმე მოსაზრებით ამართლებენ:

- 1) თანამედროვე მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული მსხვილი ფირმების ფლობისა და მართვის სეგრეგაციის პრაქტიკა. რეალურად მსხვილ კორპორაციებს მხოლოდ რამდენიმე დირექტორი მართავს და ცალკეულ შემთხვევებში მფლობელებს მათი საქმიანობის კონტროლის მხოლოდ ფორმალური მექანიზმები თუ გააჩნიათ. ამგვარად, მოგების გადასახადი კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია;
- 2) მსხვილი ფირმები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მათი იურიდიული სტატუსის გამო. კორპორაციები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები მხოლოდ ნარჩენი ღირებულებით აგებენ პასუხს მათი მფლობელების წინაშე. ამგვარად, მოგების გადასახადი ერთგვარად ამ პრივილეგიით სარგებლობის უფლებისათვის დაწესებულ საფასურად შეიძლება გაგიაზროთ;
- 3) მოგების გადასახადის გარეშე საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირება უკიდურესად გართულდებოდა. წარმოვიდგინოთ ჰიპოთეტური სიტუაცია, როცა რომელიმე ფირმის მოწილე ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადის თავიდან ასარიდებლად მის წილ მოგებას ხსენებული ფირმის განკარგულებაში ტოვებს რეინვესტირებისათვის. ცხადია, საბოლოოდ ამ თანხების ჯამი მანც დაიბეგრება მოგების გადასახადით, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო დაბეგვრამდე რეინვესტირების შედეგად ამ თანხებით იმაზე გაცილებით მეტი პროდუქტი იქნება წარმოებული, ვიდრე გადასახადით უნდა დაბეგრულიყო, ანუ გადავადებული გადასახადი ეკონომიკური აზრით, უკვე გარკვეულწილად გადასახადის თავიდან აცილებაა. მოგების გადასახადის მიზანშეწონილობის გამამყარებელი ეს არგუმენტი ჩამოთვლილი სამიდან ყველაზე მეტად ესადაგება საქართველოს სიტუაციას.

სადღეისოდ მსოფლიოში მოგების გადასახადის *მედიანური* განაკვეთი დაახლოებით 30%-ს შეადგენს. განაკვეთის ზომა მერყეობს 0%-დან (მაგალითად არაბთა გაერთიანებული საამიროები) დაახლოებით 40%-მდე და ზევით (ეგვიპტე, ინდოეთი და სხვა). გავრცელებულია როგორც დაბეგვრის სწორხაზოვანი, ისე საფეხურეობრივი სქემები რეინვესტირებისათვის განკუთვნილი სახსრების დასაბეგრი მოგებიდან გამოკლების სქემების ჩათვლით (იხილეთ დანართი, სადაც მოცემულია ზოგიერთ ქვეყანაში მოგების გადასახადის განაკვეთები).

ზოგადად, მოგების გადასახადი შეიძლება გავიაზროთ როგორც გადასახადი გამოყენებულ კაპიტალზე. იგი გავლენას ახდენს ეკონომიკის სექტორებში კაპიტალის განაწილებაზე, და აქიდან გამომდინარე, *სამუშაო ძალის უკუგებაზე*. სამეწარმეო სფეროს სხვადასხვა სექტორებში მოგების გადასახადით გამოწვეული კაპიტალის დინება მანამ გრძელდება, სანამ ამ ცალკეულ სფეროებში მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდგომ დარჩენილი *კაპიტალუკუების* ნორმა არ გამოთანაბრდება, ანუ არ გამოთანაბრდება კაპიტალის ერთ ერთეულზე მიღებული მოგება. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ეს გადასახადი ქმნის ჭარბ საგადასახადო ტვირთს კაპიტალზე, ანუ კაპიტალის დაბანდება სამეწარმეო სფეროში იმაზე ნაკლები ზომით ხორციელდება, ვიდრე ეს დაბეგვრის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებასთან.

მოგების გადასახადი ასევე შესაძლოა გავიაზროთ როგორც გადასახადი ეკონომიკურ მოგებაზე. ჯოზეფ შტიგლიცის მოდელის შესაბამისად, თუკი მოგების გადასახადის დაანგარიშებისას დასაშვებია დასაბეგრი ბაზიდან კრედიტორებთან ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი რესურსების გამოკლება, მაშინ მოგების გადასახადი სწორედ ეკონომიკური მოგების გადასახადია და არა ბუღალტრული მოგების გადასახადი. წარმოვიდგინოთ, რომ ფიზიკური პირი ბანკიდან მოზიდული X თანხით ყიდულობს მანქანას, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში Y ლარის ღირებულებას ქმნის. კრედიტორთა დავალიანების დასაფარად ფიზიკურ პირს წელიწადში r ლარის გადახდა უწევს. ამ შემთხვევაში ინვესტირებას აზრი აქვს თუ სრულდება შემდეგი მარტივი უტოლობა $Y - r > 0$. დავუშვათ, რომ შემოღებულია მოგების გადასახადი, რომლის განაკვეთია K , ხოლო დასაბეგრ ბაზად მიჩნეულია

წმინდა მოგება კრედიტორებთან ანგარიშწორების შემდეგ დარჩენილი თანხის სახით. ამ შემთხვევაში ხსენებული ფიზიკური პირი ინვესტიციას განახორციელებს, თუკი შესრულდება შემდეგი უტოლობა: $(1-K)(Y-r) > 0$. ორი უტოლობის შედარების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ინვესტირების გადაწყვეტილება დამოუკიდებელია მოგების გადასახადის დაწესებისა და მისი ანაკვეთისგან. მიუხედავად ამისა, ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მოგების გადასახადი არ ამახინჯებს ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდების პროცესს. ეს მაგალითი უჩვენებს მხოლოდ იმას, თუ რა ზომისაა ეს დამახინჯება ბიზნესის დაფინანსების წყაროების ცვლილების კვალობაზე, კერძოდ, თუ მოყვანილ მაგალითში ხსენებული პირი მანქანის შეძენას მხოლოდ საკუთარი სახსრებით დააფინანსებდა, ცხადია მისი კაპიტალი მოგების გადასახადის ანაკვეთით დაიბეგრებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, შეზღუდავდა მანქანაში ინვესტირების ინტერესს.

მოგების გადასახადის ზემოქმედება ეკონომიკური აგენტების ყოფაქცევაზე

მოგების გადასახადის ზემოქმედების შესაფასებლად ეკონომიკური აგენტების ყოფაქცევაზე გამოიყენება შემდეგი სამი ფართოდ გავრცელებული მოდელი:

აქსელერატორის მოდელი. წარმოვიდგინოთ, რომ გამოშვებისა და გამოყენებული კაპიტალის ფარდობა წარმოებაში ფიქსირებულია და ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება ორი პირობითი ერთეული კაპიტალი. იმისათვის, რომ ფირმამ წარმოებული პროდუქციის მოცულობა ერთი ერთეულით გაზარდოს, საჭიროა წარმოებაში დამატებით ორი ერთეული კაპიტალის დაბანდება. ამგვარად, ინვესტირებული კაპიტალის მოცულობას მთლიანად წარმოებული პროდუქციის მოცულობა განსაზღვრავს. ამ მოდელის მიხედვით, მართალია რეინვესტირებისა და ამორტიზაციის შედეგად ამცირებს კაპიტალის ღირებულებას, მაგრამ წარმოებაში გამოყენებული ტექნოლოგიების უცვლელობის პირობებში, კაპიტალის ღირებულება ინვესტიციების დონეს არ განსაზღვრავს – იგი მთლიანად გამოშვების დონეზეა დამოკიდებული.

ნეოკლასიკური მოდელი. ამ მოდელის მიხედვით კაპიტალისა და გამოშვების დონე არ არის ტექნოლოგიებით დეტერმინირებული. ფირმებს აქვთ შესაძლებლობა

აირჩიონ წარმოების სასურველი ტექნოლოგია და ფირმები მას სწორედ კაპიტალის ღირებულების შეფასებით ირჩევენ. კაპიტალის ღირებულება ამ შემთხვევაში გულისხმობს ხელიდან გაშვებული საინვესტიციო შესაძლებლობათა **ალტერნატიულ ღირებულებას**, ასევე ინვესტიციებთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებსაც ამორტიზაციისა და გადასახადების სახით. ამგვარად, მოგების გადასახადის განაკვეთი პირდაპირპორციულ დამოკიდებულებაშია გამოყენებული კაპიტალის ღირებულებასთან. მოგების გადასახადის გაზრდა აძვირებს კაპიტალს, ამცირებს ინვესტიციებს კაპიტალტევად დარგებში და ხელს უწყობს მის გადინებას შრომატევად დარგებში. ამის გათვალისწინებით დღის წესრიგში დგება შემდეგი ორი საკითხი: 1) რა ზემოქმედებას ახდენს საგადასახადო რეჟიმის ცვლილება კაპიტალის ღირებულებაზე? 2) რამდენად მგრძობიარეა ინვესტიციები კაპიტალის ღირებულების ცვლილებისადმი? კაპიტალის ღირებულებას ზრდის კორპორაციული გადასახადები, ხოლო საამორტიზაციო და რეინვესტირების შეღავათები ამცირებენ მას. ამგვარად, უდავოა, რომ მოგების გადასახადის ცვლილებები ნებისმიერ შემთხვევაში იწვევენ კაპიტალის ღირებულების ცვლილებას.

წინა პარაგრაფში მოყვანილი მსჯელობის გასაგრძელებლად საჭიროა განვიხილოთ კაპიტალის ღირებულების ცვლილების გავლენა ინვესტიციების დონეზე. თუ აქსელერატორის მოდელი მართებულია, მაშინ საგადასახადო ცვლილებები ინვესტიციების დონეზე არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენენ. თუმცაღა, ემპირიული გამოკვლევების უმრავლესობის მიხედვით კაპიტალის ღირებულების ცვლილება ცვლის ინვესტიციების მოცულობასაც, რომლის **ელასტიურობის კოეფიციენტი** კაპიტალის ღირებულებასთან მიმართებაში დაახლოებით -0.25 შეადგენს. აქ გასათვალისწინებელია განსახილველი ქვეყნის ეკონომიკის სიდიდე და დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრირებულობის დონე. ცხადია **დიდი, ღია ეკონომიკის** საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები დიდ ზეგავლენას ახდენს დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკაზე. მაგალითად, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში საგადასახადო რეჟიმი გამკაცრდება, მაშინ ეკონომიკური აგენტები თავს შეიკავებენ ქვეყნის შიგნით ინვესტირებისაგან, რაც დანაზოგების საზღვარგარეთ გადინებას შეუწყობს ხელს. სხვა პარამეტრების უცვლელობის პირობებში საგადასახადო ტვირთის შემცირება, ცხადია

ქვეყანაში კაპიტალის შემოსვლას შეუწყობს ხელს. საქართველოს პირობების განხილვისას მართებული იქნებოდა სწორედ ამ ანალიზის გამოყენება. საქართველო პატარა ქვეყანაა და მოკლებულია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული კაპიტალის ფასზე ზემოქმედების საშუალებას. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით უკვე საკმაოდ ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკაში, ქვეყანას ფორმალურად გამოცხადებული აქვს ეროვნული ვალუტის კურსის ფორმირებაში ჩაურევლობის პოლიტიკა. ქვეყნის ფინანსური ბაზრების განვითარებისა და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებში ინტეგრაციის დონის ზრდის კვალობაზე გაიზრდება საგადასახადო პოლიტიკის გავლენა საინვესტიციო საქმიანობაზე. განვითარების ამ ეტაპზე, როცა საქართველოს არა აქვს მაღალტექნოლოგიური საექსპორტო დარგები, რომლებიც შედარებით ნაკლებად მგრძობიარეა საგადასახადო პოლიტიკისადმი, მოგების მაღალმა გადასახადმა შესაძლოა ხელი შეუშალოს დანაზოგების ინვესტიციებში მიმართვას, რაც ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას შეუწყობს ხელს. მართალია, ხშირ შემთხვევაში, მსხვილი უცხოური კორპორაციები საქართველოს მსგავს ქვეყნებში ინვესტიციებს მხოლოდ საგადასახადო შეღავათების მიღების გამო ათავსებენ და ნაკლებად უწყობენ ხელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, კორპორაციული მოგების მაღალი განაკვეთით მიღებული ფისკალური ეფექტი ნებისმიერ შემთხვევაში ნაკლები იქნება პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლისა და კაპიტალის გადინებით გამოწვეული სარგებლის დაკარგვასთან შედარებით.

ნაღდი ფულის მოძრაობის მოდელი. ამ მოდელის თანახმად, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო პროექტიდან ნაღდი ფულის მიღების შესაძლებლობა. კერძოდ, ნაღდი ფულის ნაკადის აბსოლუტური მოცულობა უნდა აჭარბებდეს პროექტის განხორციელებით ხელიდან გაშვებული ალტერნატივებით ნაღდი ფულის გენერაციის პოტენციურ შესაძლებლობას. ნეოკლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, სადაც ნაღდი ფულის ნაკადები მხედველობაში არ მიიღება, ეს მოდელი მხოლოდ ალტერნატიული ღირებულებით ოპერირებს. ნეოკლასიკურ მოდელში ფირმის საკუთარი სახსრებისა და კრედიტორების რესურსების ღირებულება ერთმანეთის ტოლია, რაც, ცხადია, არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება შემდეგი დაშვების გათვალისწინებით: თუ რომელიმე ფირმას ახალი

პროდუქტის შექმნა აქვს განზრახული და დარწმუნებულია მის მომგებიანობაში, იგი შეეცდება ეს ინვესტიცია მთლიანად საკუთარი სახსრებით დააფინანსოს. სამწუხაროდ, საკუთარი რესურსები ყოველთვის საკმარისი არ არის და ფირმას კრედიტორების მოზიდვაზეც მოუწევს ფიქრი. კრედიტორები კი შესაძლოა ვარაუდობდნენ, რომ ახალი პროდუქტი არც ისე მომგებიანია და მათ მიერ გაცემულ სესხზე მაღალ საპროცენტო სარგებელს აწესებენ, ან სულაც უარს ამბობენ სესხის გაცემაზე. ამ ლოგიკით, ფირმის შიდა საფინანსო რესურსები ყოველთვის უფრო იაფია მოზიდულ სახსრებთან შედარებით და ინვესტიციების დონე სწორედ ამ შიდა რესურსებზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელი მოდელის ემპირიული კვლევა ჯერაც მიმდინარეობს, თუმცა თუ მას რეალისტურად მივიჩნევთ, საქართველოსთვის სასარგებლო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობაც მოგვეცემა. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს განვითარებული საფინანსო ბაზარი, ფირმების უმრავლესობა მცირე ზომისაა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქტსა და მომსახურების ნომენტკალტურა მეტად შეზღუდული. ბაზარზე უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა ინდემწარმის სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტების დომინაციის ტენდენცია. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, მეწარმეებს საქართველოში უწევთ თავიანთი მწირი სახსრების საბანკო სესხებით შევსება ან იძულებულნი ხდებიან ბიზნესის საწარმოებლად მთლიანად გარედან მოზიდული სახსრებით ისარგებლონ. ცხადია, მოგების გადასახადის შემცირება მათ საკუთარი მწირი რესურსების ინვესტირებისა და საბანკო კრედიტზე დამოკიდებულების შემცირების საშუალებას მისცემს. საშუალოვადიან პერიოდში ეს სასარგებლო იქნება ბანკებისთვისაც. მათ შეეძლებათ სახსრების უფრო უსაფრთხო დაბანდება შედარებით უფრო წარმატებული ფირმების საქმიანობაში ან ახალი საფინანსო ინსტრუმენტების შექმნა.

კაპიტალის მობილურობა და დაბეგვრის საკითხები მცირე ზომის ღია ეკონომიკისათვის

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრირებისა და კაპიტალის მობილურობის ზრდის კვალობაზე კორპორაციული ანუ მოგების გადასახადის ოპტიმალური დაბეგვრის პრობლემა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას

განვითარებადი და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვას. მიუხედავად ამისა, კორპორაციული გადასახადები ასეთ ქვეყნებში მაინც არსებობს, რაც ამ გადასახადის მხარდამჭერთა არგუმენტაციით, შემდეგი ორი მოსაზრებითაა გამართლებული: 1) კაპიტალის მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებში (აშშ, ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია და სხვა) არსებული საგადასახადო შეღავათების სისტემა ფაქტობრივად აზრს უკარგავს კაპიტალის მიმღებ ქვეყანაში კორპორაციული გადასახადის გაუქმებას. ამაში იგულისხმება შემდეგი: მაგალითად აშშ-ს რეზიდენტი კორპორაცია, რომელიც პირდაპირ ინვესტიციას უცხოეთში ახორციელებს, თავის ქვეყანაში მაინც დაიბეგრება აშშ-სა და კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანაში არსებულ საგადასახადო განაკვეთების სხვაობის ნამრავლით დასაბეგრ მოგებაზე, ანუ თუ აშშ-ში მოგების გადასახადი 35%-ია ხოლო კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანაში კორპორაცია 10%-იანი განაკვეთით იბეგრება, მაშინ მას დარჩენილი 25%-ის გადახდა მაინც მოუწევს აშშ-ს ბიუჯეტში. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის იმპორტიორი ქვეყანა საერთოდ გააუქმებს მოგების გადასახადს, ამერიკულ ფირმას ეს მაინც ვერ მისცემს დამატებით სტიმულს პირდაპირი ინვესტიციის განხორციელებისათვის, რადგან მისი საგადასახადო ტვირთი მაინც არ შემცირდება. 2) ასეთი ტიპის გადასახადი საშემოსავლო გადასახადიდან თავის არიდების შემთხვევაში მისი ერთგვარი შემცვლელია, რაც იმას გულისხმობს, რომ შიდაპოლიტიკური კონიუნქტურით მოტივირებულ კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანას ყოველთვის აქვს სტიმული დაბეგროს მის ტერიტორიაზე მოღვაწე საერთაშორისო კორპორაციის მიღებული **ეკონომიკური რენტა**. ასეთი ტიპის არგუმენტაცია მნიშვნელოვნად ნაკლოვანია ჯერ ერთი იმიტომ, რომ საგადასახადო ვალდებულებიდან თავის ასარიდებლად კორპორაციები მრავალგვარ ფინანსურ მანიპულაციებს მიმართავენ, ახორციელებენ რა ხარჯებისა და შემოსავლების იმგვარ გადანაწილებას ცალკეულ ქვეყნებში, რომ მათი შემოსავლები მაინც დაუბეგრავი რჩება. გარდა ამისა, მოგების გადასახადი ზღუდავს კაპიტალის მობილურობას და როგორც ინსტრუმენტი სერიოზულად ამახინჯებს ეკონომიკური კონტრაგენტების ყოფაქცევას.

ზემოთხსენებული მსჯელობა განსაკუთრებით საჭირობოა **მცირე ზომის ღია ეკონომიკისათვის**, რადგანაც კაპიტალის მობილობის ზრდის პირობებში მრავალი ქვეყანა ცდილობს საგადასახადო ინსტრუმენტებით საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვას. სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობა ჯერ ვერ შეთანხმდა საგადასახადო პოლიტიკის მეტ-ნაკლებ უნიფიცირებაზე. ეს ალბათ შეუძლებელიცაა ახლო მომავალში, რადგანაც ქვეყნები ვერ მოახერხებენ და არც ისახევენ მიზნად მოგების თანაბარი გადასახადის განაკვეთის დაწესებას გამომდინარე მათი ზომის, ეკონომიკური განვითარების დონისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების სხვადასხვაობიდან. როგორც ემპირიული კვლევები ცხადყოფს, მოგების გადასახადის რეჟიმის ლიბერალიზაცია განსაკუთრებით ხელსაყრელია პატარა ზომის ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც შემდეგი თავისებურებებით ხასიათდებიან:

- 1) ეკონომიკაში გააჩნიათ გეოგრაფიულ მდებარეობაზე დამოკიდებული მსხვილი ფირმები, რომელთა საქმიანობა უშუალოდაა დაკავშირებული გეოგრაფიულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან. მართალია საქართველო სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი არ არის, მაგრამ მას გააჩნია ფერადი ლითონებისა და მარგანეცის მნიშვნელოვანი საბადოები, რომელთა დამუშავება სწორედ ასეთი ტიპის საქმიანობას განეკუთვნება. ამგვარად, სასურველია, თუ დაბეგვრის რეჟიმის ლიბერალიზაცია ახლო მომავალში განხორციელდება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ სექტორის უფრო ინტენსიური დაფინანსება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალით. გარდა ამისა, საქართველოს სერიოზული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალიც გააჩნია, ნავთობზე ფასების არასტაბილურობის პირობებში როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კაპიტალისთვის ენერგეტიკის ეს სფერო უსათუოდ გახდება მიმზიდველი. მოგების გადასახადის შემცირება, ცხადია შეამცირებს კაპიტალის ღირებულებას ამ სექტორში, რომელიც ძალზე დიდ პირველად კაპიტალდაბანდებას მოითხოვს;
- 2) მოგების გადასახადის შემცირება სერიოზულ დადებით შედეგს იძლევა ისეთ ქვეყანაში, რომელშიც ან უკვე მოედინება, ან მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადები. საქართველოში უკვე ფიქსირდება

სერიოზული კაპიტალდანადება, განსაკუთრებით საბანკო სექტორში. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია სამომავლოდ კიდევ უფრო გამყარდება. მოგების გადასახადის შეკვეცა ერთგვარად შეამცირებს ფისკალურ შემოსავლებს, მაგრამ მის საკომპენსაციოდ უფრო ეფექტიანი, მოხმარებისა და შემოსავლების გადასახადები არსებობს დღე-სა და საშემოსავლო გადასახადის სახით;

3) თუ რომელიმე ქვეყანაში ფისკალური ინსტრუმენტები კარგადაა ჩამოყალიბებული და საფინანსო უწყებებს **ტრანსფერული ფასების** მონიტორინგის კომპეტენცია გააჩნიათ და სათანადო ინსტრუმენტებით სრულად არიან აღჭურვილი, მაშინ ასეთ ქვეყანას შედრებით მაღალი მოგების გადასახადის დაწესება შეუძლია, თუკი მის ეკონომიკაში ისეთი ფირმები სჭარბობენ, როგორც ეს პუნქტ (1)-შია მოყვანილი. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საბიუჯეტო ადმინისტრირების თვალსაზრისით და ქვეყნის ბიუჯეტი უპრობლემოდ ივსება პროგრამული ხარჯების განუხრელი ზრდის პირობებშიც კი. მიუხედავად ამისა, ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ საქართველოს უცხოური კორპორაციების **შემოქმედებითი ანგარიშწარმოების** პრაქტიკის ადეკვატური კონტროლი შეუძლია. ეს არც არის საჭირო, ვინაიდან საბიუჯეტო შემოსავლები ძირითადად არაპირდაპირი და საშემოსავლო გადასახადების ხარჯზე იზრდება და მოგების გადასახადის ზრდა საბიუჯეტო შემოსავლებს მნიშვნელოვნად მაინც ვერ გაზრდის, ხოლო მოგების მაღალი გადასახადის შემოღების შემთხვევაში პირდაპირი ინვესტიციების შეფერხება და კაპიტალის გადინება ნამდვილად მოსალოდნელია;

4) არსებობს არგუმენტი, რომ მოგების გადასახადი საშემოსავლო გადასახადის ერთგვარი სუბსტიტუტია ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით. განვითარებულ ქვეყნებში ეს შეიძლება ასეც იყოს. კერძოდ, ემპირიული გამოკვლევებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციული და საშემოსავლო გადასახადების სხვაობათა ერთი პროცენტით შემცირება დეკლარირებული შრომითი შემოსავლების 3.2%-ით შემცირებას იწვევდა. ეს ეფექტი საქართველოს პირობებში ძალიან რთული გამოსავლენია მონაცემების

სიმწირისა და ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გამო. ეს ასეც რომ იყოს, ეს უფრო **სტატისტიკურად მნიშვნელოვანი** მონაცემი იქნებოდა, ვიდრე ეკონომიკურად მნიშვნელოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი საგადასახადო ცვლილების შემთხვევაში მოგების გადასახადის შემცირების თვალსაზრისით, დადებითი ეფექტი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა;

5) მოხმარების დაბეგვრაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის ამოღებაზე ორიენტირებული სისტემისგან განსხვავებით ბევრად უფრო ნაკლებ ადმინისტრაციულ რესურსს მოითხოვს. ეს განსაუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარდამავალი ტიპის ეკონომიკისათვის როგორც საქართველოა. ქვეყნის ხელისუფლება წარმატებით ახერხებს სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების დაფინანსებას მოხმარების დაბეგვრის ხარჯზე, რასაც პირდაპირი ფისკალური ეფექტის გარდა სხვა ეფექტებიც ახასიათებს: საგადასახადო ბალანსის გაწონასწორება, დაზოგვისა და ინვესტიციების წახალისება და სხვა. სამომავლოდ, მცირე **ზომის ღია ეკონომიკისათვის** მოხმარების დაბეგვრაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა ბევრად უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდება მსოფლიოში მიმდინარე კაპიტალისა და შრომითი რესურსების მობილურობის ზრდის ფონზე.

საგადასახადო პოლიტიკისა და კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის უკუკავშირები

ეს საკითხები საქართველოსათვის სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მართალია, სადღეისოდ ქვეყანა ფისკალური პოლიტიკის შემუშავებაში ძირითადად შიდა ფაქტორებს ითვალისწინებს, სამომავლოდ აუცილებელი გახდება საგადასახადო პოლიტიკის იმგვარი მოდიფიცირება, რომელშიც სულ უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი, შეუქცევადი საგარეო პროცესები. ფაქტობრივად, ახლო მომავალში დიდი ქვეყნებისთვისაც კი შეუძლებელი გახდება ეკონომიკური პოლიტიკის იმგვარად შემუშავება, რომ საგარეო ფაქტორები საშინაოზე ნაკლებად იყოს გათვალისწინებული.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მცირე ზომის ღია ეკონომიკისათვის მისაღებია გათვალისწინებულ იქნას ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფილი და თავისებურებებიც. მოგების გადასახადის დონის შემცირება პირდაპირი ინვესტიციების წახალისების სერიოზული სტიმულია, თუმცა ესეც არ არის საკმარისი. დაბეგერის განაკვეთი კაპიტალის მიმღებმა ქვეყანამ სავაჭრო პარტნიორებში არსებულ საგადასახადო განაკვეთზე ოდნავ დაბალი დონით უნდა დააფიქსიროს. მართალია, ეს უკვე საგადასახადო კონკურენციის ბრძოლაში ჩართვას ნიშნავს, მაგრამ მცირე ზომის ქვეყნებს უკეთესი არჩევანი სამომავლოდ უბრალოდ აღარ დარჩებათ. ასეთი პოლიტიკით განპირობებულ პოტენციურ ფისკალურ დანაკარგებს გამუდუმებით უნდა ავსებდეს მოქნილი საშინაო საგადასახადო პოლიტიკა ქვეყანაში საბაზრო რეფორმების გაღრმავების, ეკონომიკის გახსნილობის შემდგომი ზრდის ფონზე. როგორც საერთაშორისო გამოცდილებამ უჩვენა, საგადასახადო შეღავათებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. ეს საქმიანობა დიდხალ პირველად დანახარჯებს მოითხოვს და ამავე დროს ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ რისიკიანი საქმიანობაა, ამიტომაც **ევროპული** საგადასახადო და არასაგადასახადო სტიმულირება მისი წახალისებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღევანდელი საქართველოს ტექნოლოგიური შიმშილის ფონზე მოგების გადასახადის ლიბერალიზაციის პოტენციური პოზიტიური შედეგების უგულვებელყოფა ნამდვილად არ იქნება გამართლებული, მით უმეტეს რომ მცირე ზომის ქვეყნების ეკონომიკური წარმატების გზა სწორედ მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე გადის.

კაპიტალის მობილურობა და საგადასახადო ნავსაყუდელის სტატუსი

საგადასახადო პოლიტიკის ამ ერთი ასპექტის განხილვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის. ფორმალურად საქართველოს საგადასახადო რეჟიმი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია რეგიონში. ამ მიმართებით უპრიანი იქნება შემდეგი კითხვების დასმა: ისახავს თუ არა მიზნად ქვეყნის ხელისუფლება გახდეს ეგრეთ წოდებული **საგადასახადო ნავსადგური?** თუ ასეთი

განზრახვა არსებობს, რა პერსპექტივა აქვს ამ განზრახვას და რა ინსტრუმენტები და შესაძლებლობები არსებობს ქვეყანაში ამ ამოცანის შესასრულებლად? რა პოტენციურ პოზიტიურ ეფექტებს უკავშირდება ამგვარი სტატუსი? **დჰმკა დჰარმაპლასა და ჯეიმს ჰაინსის** ემპირიული კვლევები ნათელს ჰფენს ამ საკითხებს. ამ ეკონომისტებმა განიხილეს დაახლოებით 40 ქვეყნის გამოცდილება ამ მიმართულებით და გამოავლინეს, რომ მოგების გადასახადის შემცირება საკმაოდ მაღალ კორელაციაშია ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლასთან. კერძოდ, მოგების გადასახადის 10%-იანი შემცირება ინვესტიციათა 6%-იან ზრდას იწვევს. ამავე მეცნიერების მიერ ციტირებული სხვა ემპირიული კვლევების მიხედვით, მოგების გადასახადისა და უცხოური ინვესტიციების პირდაპირი კავშირი კიდევ უფრო შთაბეჭდავია. ამ ეკონომისტებმა შეადგინეს 2004 წელს მსოფლიოში არსებული 227 ქვეყნის სია, რომელთაგანაც 40 საგადასახადო ნავსადგურის სტატუსი მიენიჭა. როგორც კვლევამ ცხადყო, ასეთი ტიპის ქვეყნები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდებიან:

- მათი აბსოლუტური უმრავლესობის მოსახლეობის რიცხოვნობა მილიონზე ნაკლებია (მაგ. კაიმანის კუნძულები, ლისტენშტეინი, ანდორა, სხვა მცირე ზომის კუნძულოვანი და **ანკლავური** სახელმწიფოები), თუმცა ამავე სტატუსის ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ ლიბანი, კიპროსი, შვეიცარია და ირლანდია, რომლის ეკონომიკური პროგრესის კავშირი ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმთან სრულიად აშკარაა;
- ამ ქვეყნების მშპ ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიოს საშუალო და ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის ანალოგიურ მაჩვენებლებს;
- ამ ქვეყნებსა და ტერიტორიებში მეტად მაღალია მმართველობის ხარისხი, რაც გამოიხატება ბიუროკრატიის სიმცირეში, კორუფციის ნაკლებობაში, სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების ეფექტიანობაში.

დჰამიკა დჰარმაპალამ და ჯეიმს ჰაინსმა თავიანთ მოდელში გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები როგორებიცაა ქვეყნისა თუ ტერიტორიის წვერობა გაეროში, ამ ქვეყნების დაშორება კაპიტალის უმსხვილეს ცენტრებთან – ნიუ იორკთან, როტერდამთან და ტოკიოსთან; აქვთ თუ არა ამ ქვეყნებს გასასვლელი ზღვაზე; არიან თუ არა ისინი კუნძულოვანი სახელმწიფოები; ტერიტორიის ზომა; საზღვაო სანაპიროსთან 100 და ნაკლები კილომეტრით დაშორებული მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში; საპარლამენტო სისტემა; ინგლისური ენის, როგორ ოფიციალური ენის გამოყენება; მოსახლეობის ეთნოლონგვისტური ჰომოგენურობის დონე; გეოგრაფიული განედი; ქვეყნის სამართლებრივი მოწყობის თავისებურებები (პრეცედენტული სამართალი, კონტინენტურ ევროპაში გავრცელებული სამართალმოწყობის ტიპი); სახელმწიფო ხარჯების სიდიდე; კომუნიკაციების ხარისხი; წიაღისეულის მარაგები; კორპორაციული გადასახადების დონე და აშშ-ს ფირმების მიერ ამ ქვეყნებში მართული აქტივების ღირებულება.

როგორც აღმოჩნდა, საგადასახადო ნავსადგურის სტატუსი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული მმართველობის ხარისხთან, თანაც ისე, რომ მხოლოდ მმართველობის მაღალ ხარისხს მიყვავართ საგადასახადო ნავსადგურის სტატუსის მოპოვებასთან, ანუ უცხოური ინვესტიციების ზრდასთან და არა პირიქით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ორი ფუნდამენტური მიზეზით: 1) კარგად მართული მთავრობა ცდილობს მაქსიმალურად ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღოს და გაითვალისწინოს სოციალური უსაფრთხოების ქსელის, განათლებისა და მართლწესრიგის საჭიროებები, 2) უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია მტკიცე განზრახვა მთავრობის მხრიდან, რომ იგი განუხრელად დაიცავს ინვესტორთა ინტერესებს და თანმიმდევრულად გაატარებს არჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსს. ეს ცხადად ჩანს, თუ საგადასახადო ნავსადგურის სტატუსის მქონე ქვეყნებს გავყოფთ მმართველობის ხარისხის მიხედვით. კერძოდ, სერიოზული ინვესტიციების მოზიდვას მხოლოდ კარგად მართული საგადასახადო ნავსადგური ახერხებს. სხვა ზემოთჩამოთვლილი პარამეტრების ნაწილი აგრეთვე მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საგადასახადო სტიმულირებით, თუმცა თუ მოდელში

ხარისხიანი მმართველობის ცვლადს აღარ გავითვალისწინებთ, დარჩენილი პარამეტრები ვერ შეძლებენ ამ ქვეყნების წარმატების რეალური მიზეზების ახსნას.

წარმოდგენილი მასალის ამ ნაწილის დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს განზრახული შემდგომი საგადასახადო ლიბერალიზაცია, თუმცა ჯერჯერობით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ საქართველოს საგადასახადო ნავსადგურად გადაქცევა სურს. ამიტომაც შეიძლება მხოლოდ იმით შემოვიფარგლოთ, რომ როგორც უკვე აღინიშნა, მოგების გადასახადის ტვირთის შემცირება მხოლოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ თუ ქვეყნის ხელისუფლება განიზრახავს კონკურენცია გაუწიოს საგადასახადო თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე ლიბერალურ ქვეყნებს, მაშინ მას მრავალი ფაქტორის გათვალისწინება მოუწევს, რომელთა ნაწილი სპეციფიკურია როგორც საქართველოსთვის, ისე რეგიონისათვის: ამაში შეიძლება გავიაზროთ პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის გეოგრაფიული გარემო და ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, დაშორება ძირითად კაპიტალის ბაზრებთან, პოტენციური საინვესტიციო ბუმის მართვის შესაძლებლობა და კომპეტენცია, აგრეთვე ის თუ რა ალტერნატიული ღონისძიებები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ინვესტირების დონე მოსალოდნელზე დაბალი იქნება, პოტენციური ინვესტორის წარმოშობა და კავშირი პოლიტიკურ კონიუნქტურასთან და სხვა ფაქტორები. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მიზნად დაისახავს საგადასახადო ნავსადგურის სტატუსის მოპოვების ამოცანას, მას აუცილებლად მოუწევს კომპლექსური ღონისძიებების გატარება მრავალი მიმართულებით, რაც მოიცავს ძირითადი და ფინანსური ინფრასტრუქტურის დაჩქარებული ტემპითა და მაღალი ხარისხით განვითარებას, პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ გადადგმულ უფრო ქმედით ღონისძიებებს, სახელმწიფო ხარჯების კომპოზიციის განაწილებას ძირითადად განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების განვითარებისაკენ. ამ ამოცანათა ნაწილი სავსებით რეალურია, მაგრამ რიგი მათგანი, სამწუხაროდ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს არაფერი უმლის ხელს გააგრძელოს ინვესტიციების წახალისების პოლიტიკა კორპორაციული გადასახადების ლიბერალიზაციის მეშვეობით, თუმცა

ამისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ადმინისტრირების უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემისა და პრაქტიკის განვითარება, რათა კანონის ფარგლებში წარმატების თანაბარი წინაპირობები შეექმნათ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორებს.

მოგების გადასახადის შემცირების პოტენციური ფისკალური შედეგები საქართველოში

საქართველოში სადღეისოდ არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-ს შეადგენს. ასეთი განაკვეთი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით არც თუ ისე მაღალია, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების განაკვეთს (მაგალითად: ბულგარეთი, მაკედონია, სლოვაკეთი) მნიშვნელოვნად აღემატება. ჩვენ აქ არ შევედგებით მოგების გადასახადის შემცირებით გამოწვეული მაკროეკონომიკური შედეგების მოდელირებას. სადისკუსიოდ მოყვანილია მხოლოდ მოგების გადასახადის მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროსი. როგორც აღინიშნა, ქვეყანაში საბიუჯეტო სფეროში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები უკვე 2004 წლიდან აღინიშნება. 2005 წლიდან უკვე აშკარად თვალშისაცემია ფისკალური დისციპლინის განმტკიცების დამაიმედებელი ტენდენციები. ცხადია, სახეზეა მოგების გადასახადის აკრეფით მიღებული სახსრების აბსოლუტური მნიშვნელობის ზრდაც (იხ. ცხრილი)

საგადასახადო შემოსავლებისა და მოგების გადასახადის დინამიკა 2005-2007 წწ (მილიონ ლარებში)

	2005	2006	2007 3 თვე
საგადასახადო შემოსავლები	2416,550	3151,976	948,084
მოგების გადასახადი	210,301	341,070	170,837
მოგების გადასახადის წილის საგადასახადო შემოსავლებში	8,7	10,8	18,0

წყარო: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (რიცხვები დამრგვალებულია)

თუ დავეუშვებთ, რომ ცხრილში მოყვანილი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება, რის საფუძველიც ნამდვილად არსებობს, მოგების გადასახადით შემცირებული შემოსავლები ფაქტობრივად შეუმჩნეველი დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს წინა წელთან შედარებით მოგების გადასახადის ზრდის ტემპი სჭარბობს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპს. უფრო მეტიც, მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ით უფრო ადრე რომ შეგვემცირებინა, ამოღებული გადასახადი მაინც შარშანდელზე გაცილებით მეტი იქნებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირება, სავარაუდოდ გაზრდის დასაბეგრ ბაზას, რაც სულ მცირე ნაწილობრივ მაინც დააბალანსებს ფისკალურ დანაკარგებს. გარდა ამისა, ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნებში, მოგების გადასახადის ფარდობა მშპ-სთან საქართველოშიც შედარებით ნაკლებია სხვა გადასახადებთან შედარებით. მშპ-ს ზრდის ტემპებიდან გამომდინარე და საფინანსო უწყების მიერ მიღწეული წარმატების ფონზე, ქვეყანას არ უნდა გაუჭირდეს სხვა გადასახადების თუნდაც არსებულ დონეზე აკრეფის შემთხვევაში იოლად შეავსოს მოგების გადასახადის შემცირებით გამოწვეული პოტენციური დანაკარგები.

დასკვნა

წარმოდგენილ მასალაში მოკლედ იყო ილუსტრირებული მოგების გადასახადის შემცირების პოტენციური დადებითი და უარყოფითი შედეგები. როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, სწორად გატარებულ ამგვარ რეფორმას ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია და მოგების გადასახადის რეჟიმის ლიბერალიზაცია გამართლებულია როგორც ბიზნესის ხელშეწყობის, ისე სხვა მრავალი არაპირდაპირი სარგებლის მიღების თვალსაზრისით. ცხადია, საქართველოში ამგვარი ღონისძიების თანმიმდევრული და გააზრებული განხორციელება ეკონომიკის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

დანართი: მოგების გადასახადის განაკვეთები სხვადასხვა ქვეყნებში

აშშ	35%
კანადა	36.1%
ალბანეთი ¹	20%
ავსტრალია	30%
ავსტრია	25%
აზერბაიჯანი	22%
ბელორუსი ²	24%
ბელგია	33%
ბაჰრეინი ³	46%
კიპროსი	10%
ჩეხეთი	24%
ბულგარეთი	10%
ბოსნია და ჰერცეგოვინა	30%
ჩინეთი	24%
ხორვატია	20%
ლუქსემბურგი	29.63%
გერმანია	38-40%
ირლანდია	12.5%
უნგრეთი	16%
დანია	28%
ყაზახეთი	30%
მაკედონია	15%
პოლონეთი	19%
სლოვენია	23%
სლოვაკეთი	19%
ესპანეთი	35%
თურქეთი	32%
რუმინეთი	16%
ესტონეთი ⁴	მხოლოდ დივიდენდების 23/77
ლიტვა	19%
ლატვია	15%
რუსეთის ფედერაცია	24%
უკრაინა	25%
სერბია	10%
უზბეკეთი	12%

¹ კომპანიები რომლებიც შექმნილია უცხოელების მონაწილეობით და ეწევიან ნავთობის და გაზის მოპოვებას და დამუშავებას იბეგრებიან 50% მოგების გადასახადით

² სადაზღვევო კომპანიები იბეგრებიან 30% განაკვეთით

³ იბეგრებიან მხოლოდ ნავთობკომპანიები

⁴ კომპანიები არ იბეგრებიან მოგების გადასახადით. იბეგრებიან მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე სუფთა დივიდენდების 23/77. გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება

განმარტებები:

მედიანა – სტატისტიკური სიმრავლის (პოპულაციის) ერთეული, რომელიც მასში ყველაზე ხშირად გვხვდება;

სამუშაო ძალის უკუგება – მოგება სამუშაო ძალის ერთეულზე;

კაპიტალუკუგება – მოგება სამუშაო ძალის ერთეულზე;

ალტერნატიული ღირებულება – რაიმე საქმიანობაში რესურსების ჩადებით ამ რესურსების სხვა დანიშნულებით გამოყენების დაკარგვით გამოწვეული დანაკარგები;

ელასტიურობის კოეფიციენტი – ორი ეკონომიკური პარამეტრის დამოკიდებულების ხარისხი, ერთი მათგანის პროცენტული ცვლილებით გამოწვეული მეორე პარამეტრის პროცენტული ცვლილება;

ანკლავური ქვეყანა – ქვეყანა, რომელსაც საზღვარი გააჩნია მხოლოდ ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან;

საგადასახადო ნაესადგური – ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებით ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმს უქმნის ინვესტორებს;

ეკონომიკური რენტა – წარმოადგენს სხვაობას საწარმოო ფაქტორით მიღებულ სარგებელსა და მის ალტერნატიულ ღირებულებას შორის;

დიდი, ღია ეკონომიკა – ქვეყანა, რომელიც ინტეგრირებულია საერთაშორისო საფინანსო და ვაჭრობის სისტემაში და შეუძლია ზემოქმედება იქონიოს საქონლისა და მომსახურების ფასებზე, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე;

მცირე ზომის ღია ეკონომიკა – ქვეყანა, რომელიც ინტეგრირებულია საერთაშორისო საფინანსო და ვაჭრობის სისტემაში, თუმცა არ შეუძლია ზემოქმედება იქონიოს საქონლისა და მომსახურების ფასებზე, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე;

ტრანსფერული ფასები – სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე კორპორაციის ცალკეულ ერთეულებს შორის საქონლისა და მომსახურების გაცვლა ხელოვნურად მაღალი ან დაბალი ფასებით;

შემოქმედებითი ანგარიშწარმოება – ბუღალტრული აღრიცხვის პროცესში კანონმდებლობისა და რეგულაციების ნაკლოვანებათა გამოყენება გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით;

ეგზოგენური ფაქტორი – ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ მოდელში განხილულ ცვლადებზე, თუმცა ეს ცვლადები მოკლებულნი არიან ეგზოგენურ ფაქტორზე ზემოქმედების შესაძლებლობას;



გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **Harvey S. Rosen**, "Public Finance, Sixth Edition";
2. **George R. Zodrow** "Capital Mobility and Source-Based Taxation of Capital Income in Small Open Economies," *International Tax and Public Finance*, 13, 269-294, 2006;
3. **James R. Hines Jr.** "Lessons from Behavioral Responses to International Taxation," *National Tax Journal*, Vol 52 no. 2 (June 1999) pp.305-322;
4. **Dharmika Dharmapala, James R. Hines Jr.** "Which Countries Become Tax Havens?", *Journal of Economic Literature*, November 2006;
5. **Mihael Keen and John King**, "The Croatian Profit Tax: An ACE in Practice", *Fiscal Studies* (2002) vol.23, no.3, pp 401-408;
6. **International Monetary Fund**, IMF Country Report No. 07/107, March 2007;
7. **International Monetary Fund**, IMF Country Report No. 06/171, May 2006;
8. **The Deloitte Touche Tohmatsu International Tax and Business Guides**, <http://www.deloittewebguides.com/>;
9. **The World Bank Group**, Doing Business, benchmarking Doing Business Regulations, www.doingbusiness.org'
10. **Worldwide Tax**, <http://www.worldwide-tax.com>;
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური